ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. გორში ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV კოდი **45200000**

ქ. გ ო რ ი

1) ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ (სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს ხელმოწერის უფლებამოსილებების დამადასტურებელი დოკუმენტი) და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

1.6. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.7. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2) პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები:

ა) სატენდერო წინადადება დანართი №1 - ის მიხედვით.

ბ) ტექნიკური მოთხოვნების დანართი №2 – ის მიხედვით წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი.

გ) ფასების ცხრილი დანართი №3 – ის მიხედვით.

დ) საგარანტიო მომსახურება დანართი №4 – ის მიხედვით.

ე) საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართი №5 - ის მიხედვით (გამარჯვებულმა პრეტენდენტმა)

ვ) სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა მექანიზმების შესახებ ინფორმაცია დანართი № 6 – ის შესაბამისად.

3) ფასის გაანგარიშების წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3.ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4 სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია ეტაპობრივი ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 20 % - ისა და არაუმეტეს 70% – ის ოდენობით.

3.5 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი – სავარაუდო ღირებულების 95%, ადგილობრივი ბიუჯეტი სავარაუდო ღირებულების 5%.

4) შესყიდვის ობიექტი, მიწოდების წესი, ვადები და პირობები

4.1. **შესყიდვის ობიექტია ქ. გორში მირზა გელოვანის, იოსებ ნონეშვილის და თელავის ქუჩის (მირზა გელოვანის ქუჩიდან ღამბარაულის ქუჩამდე) მონაკვეთის რეაბილიტაცია (CPV45200000), დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ტექნიკური პირობები.**

4.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 390859 (სამას ოთხმოცდაათი ათას რვაას ორმოცდაცხრამეტი ლარი) დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

4.3. სამუშაოთა შესრულების ადგილია ქალაქი გორი.

4.4 საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის დადებითი ექსპერტიზისა და გამოყენებული ასფალტობეტონისა და ბეტონის ლაბორატორიული დასკვნები. შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა და გამოყენებული ასფალტობეტონისა და ბეტონის ლაბორატორიული დასკვნა გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პირის მიერ (აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი).
4.5 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქონლის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.6 მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა დაასრულოს და სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულების პირობებით მოთხოვნილი დასკვნები წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) თვეში.

4.7 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2 % – ის ოდენობით.

4.8 იმ შემთხვევაში თუ ნაკისრი ვალედებულებებისათვის პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3% – ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დამატებით დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3% – ის ოდენობით.

4.9 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის – – – – – – – – – — – მდე.

5) დამატებითი პირობები
5.1. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მიზნით წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პირის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

5.2. ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.

6) დამატებითი ინფორმაცია.
სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. გორი, სტალინის გამზირი №16. საკონტაქტო პირი: მურაზ შიოშვილი მობ: 599 85 16 99 . ელექტრონული ფოსტა: murazshioshvili@gmail.com.

7. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი (პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად)

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N-

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____2016 წ. ერთის მხრივ ქ გორის მუნიციპალიტეტის მერიასა (შემდგომში ,,შემსყიდველი'') და მეორეს მხრივ (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები),,შემდგომში მიმწოდებელი'' შორის. იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი SPA ---------- სამუშაოების შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები შემდეგ თანხაზე: – – – – – ლარად (ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით) (შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება'').

1 გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით .

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელზეც გაფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის შესყიდვის ობიექტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2 წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს

2.1 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, კერძოდ:

ა) სატენდერო დოკუმანტაცია;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულება;

გ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და წინადადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;

დ) ტექნიკური დავალება;

ე) ფასების ცხრილი და გარანტია;

2.2 ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა წარმოადგენენ ხელშეკრულების პირობებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან პირი:

3.2 ჯგუფის ან პირის ფუნქციებია:

3.2.1 მისაწოდებელი და/ან მიწოდებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების (გეგმა–გრაფიკის) ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება;

3.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4. სამუშაოს დასახელება, სამუშაოების მიწოდების ვადები , პირობები და ექსპლოატაციის გარანტია

4. 1 შესყიდვის ობიექტია **ქ. გორში მირზა გელოვანის, იოსებ ნონეშვილის და თელავის ქუჩის (მირზა გელოვანის ქუჩიდან ღამბარაულის ქუჩამდე) მონაკვეთის რეაბილიტაცია.**

4.2 მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა დაასრულოს და სატენდერო დოკუმენტაციითა და ხეკშეკრულების პირობებით მოთხოვნილი დასკვნები წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) თვეში.

4.3. სამუშაოების მიწოდების ადგილია ქ. გორი;

4.4. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადაა სამუშაოების მიღება-ჩაბარებიდან 2 (ორი) წელი, აღნიშნულ პერიოდში გამოვლენილი წუნი ან დეფექტი საკუთარი ხარჯებით უნდა გამოასწოროს მიმწოდებელმა.

4.5 სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს არსებული სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

4.6 მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისა და ტექნიკური ნახაზების შესაბამისად;

4.7 მიმწოდებელმა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიაზე უნდა გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;

4.8 სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს ხარისხის და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმხორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

4.9 მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

4.10 ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი (მისი ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას.

5.3 საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის და მოცულობის დადებითი ექსპერტიზისა და გამოყენებული ასფალტობეტონისა და ბეტონის ლაბორატორიული დასკვნები.

შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა და გამოყენებული ასფალტობეტონისა და ბეტონის ლაბორატორიული დასკვნა გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პირის მიერ (აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი).

5.4. გეგმა გრაფიკით განსაზღვრული ყოველი პერიოდის ბოლოს უნდა შედგეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილი იქნება მიმწოდებლისა და შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის წევრების მიერ.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია ასფალტობეტონისა და ბეტონის ლაბორატორიული დასკვნებისთვის ნიმუშის აღების პროცესს დაასწროს შემსყიდველი ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფი.

6 ანგარიშსწორება და ვალუტა.

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით მიღება ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების

მოცულობების მიღების აქტი) გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღეში ;

6.3. ანგარიშსწორება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სამუშაოების არანაკლებ 20% და არა უმეტეს 70%–ისა, მიღება ჩაბარების აქტის ფორმა №2; №3, ინსპექტირების ჯგუფის მოხსენებისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა.

6.4 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველსა და საამისოდ შერჩეული პირის (ზედამხვედელი) მიერ დადასტურებული აქტი.

6.5 წინასწარი ანგარიშწორება არ გამოიყენება

6.6 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი – სავარაუდო ღირებულების 95%, ადგილობრივი ბიუჯეტი სავარაუდო ღირებულების 5%.

7. შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტია

7.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი,

8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული შესასრულებელი სამუშაოების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ქვეკონტრაქტორები

10.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში.მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცა ქვეკონტრაქტორს.

10.2. ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%-ს.

10.3. მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა ეცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

10.4. სამუშაოების ნაწილს ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

11. გარანტია

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

11.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდაყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების საერთო ღირებულების 0. 2 %-ის ოდენობით,

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დამატებით დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3 % – ის ოდენეობით.

12.5 შემსყიდველი უფლებამოსილია გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების 10 დღეზე მეტი ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში (გარდა გეგმა–გრაფიკით გათვალისწინებული საბოლოო ეტაპისა) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 3% – ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი დარღვეული იქნება მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით ნაკისრი მიწოდების ვადები.

13.6 ხელშეკრულების შეწყვეტა ასევე შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

14 ხელშეკრულების შესრულების გარანტია

14.1 იმისათვის , რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე-საბანკო გარანტია;

14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში

(ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებითა და გეგმა–გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ საბანკო დაწესებულებას საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის მოთხოვნაზე.

14.3 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადას.

14.4 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

14.5 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ურთიერთ მოლაპარაკებებით და შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს ----------

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. რეკვიზიტები

,, შემსყიდველი'' **,,მიმწოდებელი''**

1) **რეკვიზიტები :**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/ და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი :

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს“ და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი წესების და ნორმების ფარგლებში.

ხელმოწერა:

ბ. ა

ტექნიკური მოთხოვნები

1. შესყიდვის ობიექტია **ქ. გორში მირზა გელოვანის, იოსებ ნონეშვილის და თელავის ქუჩის (მირზა გელოვანის ქუჩიდან ღამბარაულის ქუჩამდე) მონაკვეთის რეაბილიტაცია**
2. პრეტენდენტს 2013 წლიდან წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოები, აქედან მინიმუნ 1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ქონდეს არანაკლებ 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი ლარი) ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოები, რაზეც სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს შესრულებული შემსყიდველისგან გაცემული დადებითი რეკომენდაცია სადაც აღნიშნული იქნება, რომ მიწოდებელმა სამუშაოები შეასრულა ხარისხიანად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით (მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტმა სხვა შესრულებულ სამუშაოებზეც უნდა წარმოადგინოს რეკომენდაცია). შესრულებულ სამუშაოებზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულე(ბე)ბი და მიღება ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები.
3. შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელი.
4. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, რაოდენობა და ნახაზები მოცემულია დამატებითი დანართების სახით და ატვირთულია ელექტრონულ სისტემაში.
5. სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს არსებული სამშენებლო სტანდარტების შესაბამისად.
6. მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისა და ტექნიკური ნახაზების შესაბამისად;
7. მიმწოდებელმა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიაზე უნდა გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;
8. სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს ხარისხის და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმხორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;
9. მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.
10. ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ ზიანზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს;
11. **ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია:**

    11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების **5 %-ის** ოდენობით, აღნიშნული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე.

    11.2. პრეტენდენტის მიერ ღირებულების 20 %-ზე მეტის დაკლების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების **10 %-მდე** ოდენობით,

    11.3. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადას.

    11.4. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან.
12. ცხრილის სახით წარმოადგინილი უნდა იყოს 20 დღიან პერიოდებზე გაწერილი თანხობრივი და მოცულობითი გეგმა – გრაფიკი. გეგმა–გრაფიკის ბოლო ეტაპი არ უნდა მოიცავდეს შესასრულებელი სამუშაოების 10 % – ზე მეტს. შემსყიდველი უფლებამოსილია გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების 10 დღეზე მეტი ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში (გარდა გეგმა–გრაფიკით გათვალისწინებული საბოლოო ეტაპისა) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 3% – ის ოდენობით.
13. პრეტენდენდენტი სრულად უნდა ფლობდეს (საკუთრება, იჯარა, ქირა, ლიზინგი და სხვა) დანართ №6 – ში მოცემულ მანაქანა მექანიზმებს.
14. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მექანიზმების ტექნიკური პასპორტები და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დანართი №4

მე (ორგანიზაციის დასახელება) ვიღებ ვალდებულებას მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში არა შემსყიდველის ბრალეულობითა და არა სტიქიური მოვლენების შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლი და ზიანი აღმოვფხვრა საკუთარი სახსრებით, შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

ხელმოწერა :

ბ.ა.

დანართი №5

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1) იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტისადმი პირის დავალიანების შესახებ.
დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან რომ არ მიმდინარეობს პირის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია.

2) ფიზიკური პირებისთის:
ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
ბ)ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტისადმი პირის დავალიანების შესახებ.

შენიშვნა:

1) საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო კომისიის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშო დღეში.
2) *კომისია იტოვებს უფლებას წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემებში შეზღუდვების ან სოლიდური დავალიანებების არსებობის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.*

დანართი №6

მანქანა – მექანიზმები

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, კარგ მდგომარეობაში, მოძველებული	საკუთარი-სარგებლობით აღებული
1	ავტოგრეიდერი საშ.79 კვტ სიმძ	ცალი	2		
2	ამწე, ტვირთამწეობით 10 ტ	ცალი	1		
3	ავტოთვითმცვლელი 7-10 ტ	ცალი	10		
4	ავტოგუდრონატორი	ცალი	1		
5	ასფალტდამგები	ცალი	1		
6	ბულდოზერი სიმძლავრით 79-96 კვტ	ცალი	1		
7	ბორტიანი მანქანა ტვირთმწეობით 10ტ	ცალი	2		
8	სარწყავ-სარეცხი მანქანა	ცალი	1		
9	კომპრესორი წარმ 9-10 მ^{3}/წმ	ცალი	1		
10	სამტვრევი ჩაქუჩი	ცალი	2		
11	სატკეპნი პნევმატური 10-20ტ	ცალი	1		
12	სატკეპნი ვიბრაციული 6-8ტ	ცალი	1		
13	სატკეპნი გლუვი 10-18ტ	ცალი	1		
14	ბიტუმის ქვაბი	ცალი	1		
15	ექსკავატორი v=0.4მ^{3}	ცალი	1		
16	ექსკავატორი v=0.5მ^{3}	ცალი	1		
17	ავტობეტონსარევი	ცალი	1		